საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №21
2012 წლის 28 ნოემბერი

ქ. ქუთაისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე, 43-ე და 43' მუხლების საფუძველზე, **ვადგენთ:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 2008 წლის 8 დეკემბერი, №175, მუხ. 1791) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (ჩითახევიჰესი) – 2012 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით – 1.73 თეთრი/კვტს.“

2. მეორე მუხლის მე-5 პუნქტში, სიტყვები „შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ “, შეიცვალოს სიტყვებით „სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ “.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია 2012 წლის 1 დეკემბრიდან.

კომისიის წევრი, თავმჯდომარე	**გურამ ჩალაგაშვილი**
კომისიის წევრი	**ზურაბ გაბელაია**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**
კომისიის წევრი	**სერგო მესხი**